ხელშეკრულება

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 5 აპრილი, 2019 წ.

ერთის მხრივ **შპს როიალ სერვისი**, ს/კ 405301775, წარმოდგენილი მისი დირექტორის, თორნიკე კიწმარიშვილის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) და მეორეს მხრივ **სსიპ ნოშრევან ჯიშკარიანის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლა**, ს/კ 235444300 (შემდგომში - შემსყიდველი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებულია დამკვეთს მიაწოდოს დანართი №1-ში აღნიშნული საქონელი (CPV – 37400000) (შემდგომში „საქონელი“) დანართი №1-ში მითითებული მახასიათებლებით, რაოდენობით, ღირებულებით და ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და ვადებში მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება.

1.2 მიმწოდებელი ვალდებულია დამკვეთს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში შემდეგ მისამართზე: მარტვილი, სოფელი ზედა ნაგვაზაო.

1.3 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება საბანკო ანგარიშსწორების გზით საქონლის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში.

2. მხარეთა უფლებამოსილება და მოვალეობა

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია დამკვეთს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, მითითებული რაოდენობით.

2.2 შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით, მიღების მომენტში შეამოწმოს საქონლის ხარისხი, შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან და გარეგანი იერსახე.

2.3 მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია აღარ მიიღოს საქონელი.

2.4 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებლის მოთხოვნით დამკვეთს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საქონლის მთლიანი ღირებულების 5% (ხუთი პროცენტი) ოდენობით.

3. საქონლის მახასიათებლები

3.1 მიმწოდებელი შემსყიდველისათვის საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობით (დანართი №1).

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების დოკუმენტებში (ზედნადები) მიუთითოს მიწოდებული საქონლის დასახელება და ფასი.

3.3 მიწოდებული საქონლის ჩამონათვალი და რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს იმ მონაცემებს, რომელიც ნაჩვენებია მიწოდების დოკუმენტში.

3.4 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონლის შემსყიდველისათვის გადაცემის მომენტში, მიმწოდებელი თავად არის საქონლის კანონიერი მფლობელი და რომ მესამე პირებს არ შეიძლება წარმოეშვათ რაიმე სახის პრეტენზია აღნიშნულ საქონელთან მიმართებაში.

3.5 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება მიწოდებული სათანადო მდგომარეობაში და არ იქნება დაზიანებული.

4. ხელშეკრულების შეფერხება

4.1 თუ ხელშეკრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომლის გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.

4.2 თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

5. ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებათა ზემოქმედების შედეგებით. ასეთი გარემოების დასტურს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

5.2 მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მცარეს 3 (სამი) დღის განმავლობაში მათი წარმოქმნის დღიდან.

5.3 დაუძლეველი ძალის გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.

6.2 ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

7.3 მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

7.4 ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან/და პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

7.5 მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.

7.6 მხარეები შეეცდებიან ყველა წარმოშობილი დავა და უთანხმოება გადაწყვიტონ ურთიერთ მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ დავა ვერ გადაწყდება მოლაპარაკების გზით, მხარეები იტოვებენ უფლებას თავიანთი ინტერესების დასაცავად მიმართონ საერთო სასამართლოებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს როიალ სერვისი	**სსიპ ნოშრევან ჯიშკარიანის სახელობის**
ს/კ: 405301775	**მარტვილის მუნიციპალიტეტის**
დირექტორი: თორნიკე კიწმარიშვილი	**სოფელ ზედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლა**
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“	ს/კ 235444300
SWIFT: TBCBGE22	
ანგარიშის ნომერი: GE68TB7840036020100006	

დანართი №1

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1	ბატუტი ბადით CPV – 37400000	ცალი	1	520	520
2	პრესის სკამი CPV – 37400000	ცალი	1	280	280
3	ფრენბურთის ბადე CPV – 37400000	ცალი	1	60	60
4	აზიდვების სახელური CPV – 37400000	ცალი	2	30	60
5	დარცი CPV – 37400000	ცალი	1	40	40
6	ნასოსი ბურთის CPV – 37400000	ცალი	1	30	30
7	ტურნიკი კედლის CPV – 37400000	ცალი	1	99	99
				საქონლის მთლიანი ღირებულება (ჯამი)	1089

თანხა სიტყვიერად: ათას ოთხმოცდაცხრა ლარი.